ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3842796

ნომერი: AR1575559

თარიღი : 07.02.2018

გაცემის თარიღი : 28.02.2018

გაცნობის თარიღი : 28.02.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13; ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნონა გიგაია პ/ნ 59001005138
- გორი სტალინის გამზ. N 24 ბ. 3

ორგანიზაცია:
- შპს "ოჯთ" კოდი: 245434169

ნომენკლატურა :

- ფაბრიკა
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს "ოჯთ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 245434169
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნიკოლოზ ასანიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 59001009934

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: № 3803461
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 6.02.2018

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : №1194847
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 1.04.2014

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელშიც დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ:

1. შპს „ომეგა მოტორსის“ თანხმობა არ არის დამოწმებული სათანადო წესით საჭიროა წარმოდგენილ იქნეს სათანადო წესით დამოწმებული. ასევე არ არის წარმოდგენილი შპს „მობიტელის“ თანხმობა. საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მასთან დადებული სარგებლობის საფუძველი იჯარის ხელშეკრულება #72/07/A გაფორმებული 01.05.2007 წელს( რეესტრში რეგისტრირებული სათანადო წესით დამოწმებული) და გეგმაზეც მონიშნეთ აღნიშნული ფართის არეალი. თუ კორექტირებით იცვლება იპოთეკით დატვირთული ობიექტის ფართი საჭიროა წარმოდგენილ იქნეს იპოთეკარის თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე. გაითვალისწინეთ , რომ თანხმობა გაცემული უნდა იყოს წესდების შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ( საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი).

2.ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: წარმოდგენილი დოკუმენტი ატვირთეთ დამატებითი ფაილის მიმაგრების ველში. აღნიშნულ ველში წარმოადგინეთ შენობა-ნაგებობის ფუძე-საძირკვლებისა და ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასების დადებითი ან უარყოფითი საბოლოო დასკვნა. ინფორმაცია შემსრულებლის (პასუხისმგებელი პირის) შესახებ, რომელიც მოიცავს შემსრულებლის სახელს/დასახელებას, საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი), ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, შესაბამისად – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს. ან ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.